**სსიპ კოლეჯი ,,ლაკადა”**

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

# იატაკისა და ფილის სამუშაოები

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე) -** იატაკისა და ფილების სამუშაოები/Floor and Tile Works
2. **სარეგისტრაციო ნომერი: 07,37,1**
3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) :** საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილების სამუშაოებში/basic Vocational qualification in floor and tile Works

4. **მიზანი:** პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მიზანია, შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებას, რომელსაც შეეძლება: წაიკითხოს სამშენებლო ნახაზები,დაამუშავოს ფილა,მოამზადოს და მოაპირკეთოს კედლის და იატაკის ზედაპირები ფილებით,მოაწყოს ბეტონის სამრეწველო და პოლიმერული იატაკი ,შეასრულოს თბო და ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები.

5. **კვალიფიკაციის დონე**

   4.1 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF): დონე 3

6. **კლასიფიკაციის აღწერა**

   6.1 ISCED კოდი და აღწერა: 0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია . მშენებლობა - შეისწავლის საჯარო (საზოგადოებრივი), კომერციული, ინდუსტრიული და საცხოვრებელი სტრუქტურების (ასევე მათი აღჭურვის) მონტაჟის, აგებისა და ტექნიკური მომსახურების მეცნიერებას, ტექნოლოგიებსა და ტექნიკას/მეთოდებს. სამოქალაქო ინჟინერია შეისწავლის დიდი ზომის შენობა - ნაგებობებისა და სტრუქტურების, მათ შორის სატრანსპორტო სისტემების, წყალმომარაგებისა და არინების და ა.შ. დაგეგმვას, პროექტირებას, ტესტირებასა და მშენებლობის ხელმძღვანელობას.

6.2 ISCO კოდი: 7122
6.3 ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 7122 იატაკისა და ფილების დამგებები

7. **დასაქმების შესაძლებლობები**

   იატაკისა და ფილების დამგები შეიძლება იყოს თვითდასაქმებული ან დასაქმდეს დიზაინერულ და სამშენებლო-სარემონტო კომპანიებში და მოაპირკეთოს სხვადასხვა სახის ზედაპირი, შეასრულოს სამუშაოები დახურულ და ღია სივრცეებსა და სიმაღლეზე.

8. **დაშვების წინაპირობა**

   საბაზო ზოგადი განათლება

9. **სწავლის შედეგები**

*კურსდამთავრებულს შეუძლია:*

9.1. წაიკითხოს სამშენებლო ნახაზები
9.2. დაამუშავოს ფილა
9.3. მოამზადოს კედლის და იატაკის ზედაპირები ფილებით მოპირკეთებისთვის
9.4. მოაპირკეთოს კედლის და იატაკის ზედაპირები ფილებით
9.5. მოაპირკეთოს ზედაპირები მოზაიკური ფილებით
9.6. მოაწყოს ბეტონის სამრეწველო და პოლიმერული იატაკი
9.7. შეასრულოს თბო და ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები
9.8. დააგოს მეტლახის და გრანიტის იატაკი
9.9. დააგოს ელასტიური და რბილი იატაკის საფარი
9.10. დააგოს სხვადასხვა სახის იატაკი (ხის ფიცრის, ხის პარკეტის, ლამინირებული პარკეტის )
9.11. უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვა
9.12. აღწეროს მშენებლობის ეტაპები და შენობის შიდა მოპირკეთების პროცესები

10. **სწავლის შედეგების დეტალური აღწერა**

| მოდული | პროფესიული უნარები | პროფესიული ცოდნა | *საკვანძო კომპეტენციები* | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | *მშობლიური ენაზე კომუნიკაცია* | *უცხო ენაზე კომუნიკაცია* | *მათემატიკური უნარ-ჩვევები და საბაზისო კომპეტენციები მეცნიერებასა და* | *ციფრული კომპეტენცია* | *დამოუკიდებლად სწავლის უნარი* | *პიროვნებათშორისი და მოქალაქეობრივი* | *მეწარმეობა* | *კულტურული გამომხატველობა* |
| სამშენებლო ნახაზების კითხვა | • ასრულებს მარტივ გეომეტრიულ აგებებს<br>• ხაზავს მარტივ დეტალს<br>• კითხულობას არქიტექტურულ და სამშენებლო ნახაზებს | • იცის სახაზავი ფორმატის სტანდარტულ ზომების დასახელება<br>• იცის დასახაზი ფორმატის მომზადება წესის დაცვით<br>• იცის ხაზთა ტიპები<br>• იცის ორი სახაზავით პარალელური და | ✓ | | ✓ | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | პერპენდიკულარული წრფეების გავლების მეთოდი<br>• იცის მონაკვეთი შუამართობის აგების მეთოდი<br>• იცის კუთხეების, წრეწირის ტოლ ნაწილებად დაყოფის მეთოდი<br>• იცის გეგმილთ სიბრტყის განმარტება და აქსონომეტრიული გეგმილების აგების თანმიმდევრობა<br>• იცის ფიგურის იზომეტრიული გეგმილების აგების წესი<br>• იცის მასშტაბის სახეები<br>• იცის ესკიზის აგების პრინციპი და მარტივის დეტალის ესკიზის აგების პრინციპი<br>• იცის ნახაზზე ხედების განლაგების პრინციპი<br>• იცის მარტივი დეტალის ორთოგონალური გეგმილების აგების პრინციპი<br>• იცის მარტივი დეტალის აგების პრინციპი აქსონომეტრიული დაგეგმილების მეთოდის გამოყენებით<br>• იცის ჭრილის განმარტება<br>• იცის განსხვავება ჭრილსა და კვეთს შორის<br>• იცის ჭრის შესრულება და კვეთის აღნიშვნა<br>• იცის ნახაზზე ზომების დატანის და გაფორმების წესი<br>• იცის გენერალური გეგმით წარმოდგენილი განაშენიანების | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | დეტალების და შენობა-ნაგებობების ზომების წაკითხვა<br>• იცის სამშენებლო ნახაზზე გამოყენებული პირობითი აღნიშვნების მნიშვნელობა<br>• იცის მუშა ნახაზების დასახელება<br>• იცის არქიტექტურული ნახაზების ელემენტების ჩამოთვლა<br>• იცის შენობა - ნაგებობების გეგმაზე კონსტრუქციული ელემენტების მდებარეობის აღწერა<br>• იცის შენობის ფასადების, ჭრილების, სახურავის ელემენტების დონებრივი ზომების, ღერძების განლაგების, სართულშუა გადახურვის და სახურავის დონეზე გადახურვის წაკითხვა<br>• იცის კონსტრუქციული ნახაზების წაკითხვა | | | | | | | | |
| მშენებლობის საფუძვლები | • აღწერს მშენებლობის ეტაპებს აღწერს შენობის შიდა მოპირკეთებისა და ექსპლუატაციაში მიღების პროცესს | • იცის შენობა ნაგებობისათვის საჭირო ადგილის აღწერა<br>• იცის სამშენებლო მოედნის მოწყობის თანმიმდევრობა და აღჭურვილობა<br>• იცის ანაკრები და მონოლითური მშენებლობის ნიუანსების და უპირატესობების განსხვავება<br>• იცის საშენი მასალების კლასიფიკაციის დანიშნულება | ✓ | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | და გამოყენება თვისებების მიხედვით<br>• იცის რკინაბეტონის, ხის, პლასტმასის, ქვისა და ლითონის კონსტრუქციების საჭიროებისამებრ გამოყენების სპეციფიკა და უპირატესობები<br>• იცის შენობის აგების თანმიმდევრობა<br>• იცის შენობის შიდა აღჭურვის სპეციფიკაციის აღწერა<br>• იცის გათბობა–ვენტილაციის, წყალმომარაგება–წყალარინების და ელექტრო გაყვანილობის სამუშაოების მოწყობის თანმიმდევრობა<br>• იცის შენობა–ნაგებობის საექსპლუატაციოდ გადაცემის მოთხოვნები<br>• იცის სამშნებლო მოედანზე უსაფრთხოების წესები და ნორმების დაცვის მნიშვნელობა<br>• იცის შავი და თეთრი კარკასის განმასხვავებელი ნიშნები<br>• იცის მონიტორინგისა და კონტროლის პრინციპების აღწერა<br>• იცის შენობის შიდა მოპირკეთების სამუშაოების აღწერა<br>• იცის საზათქაშე სამუშაოების შესრულების ეტაპები | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | • იცის თაბაშირ–მუყაოს მოწყობის ტექნოლოგიური ეტაპები<br>• იცის ღებვისათვის საჭირო ხელსაწყო–ინსტრუმენტების და პირადი აღჭურვილობის დანიშნულება<br>• იცის იატაკისა და კედლების მოსაწყობად საჭირო სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური მასალები<br>• იცის შენობის ინტერიერსა და ექსტერიერში საჭირო მასალების შერჩევა | | | | | | | | |
| ფილის დამუშავება | • ჭრის ფილას სწორხაზოვნად<br>• ჭრის ფილას მრუდწირულად<br>• ამოჭრის ფილას წრიულად | • იცის განასხვავება კერამიკულ ფილებს შორის დანიშნულების და შემადგენლობის მიხედვით;<br>•იცის განასხვავება კერამიკულ ფილებს შორის სიმტკიცის მიხედვით;<br>•იცის განასხვავება კერამიკულ ფილებს შორის ხარისხის მიხედვით;<br>•იცის კერამიკული ფილების სახეობები<br>•იცის ფილების ზომები<br>•იცის უსაფრთხოების და ჰიგიენის ნორმები. | ✓ | | | ✓ | ✓ | | | |
| კედლის და იატაკის ზედაპირების მომზადება ფილებით მოპირკეთებისათვის | • აღმოფხვრის ლოკალურ დაზიანებებს<br>• ამზადებს ნაზავებს | • იცის დაზიანების ტიპები კედლის და იატაკის სახეების მიხედვით; | ✓ | | | ✓ | ✓ | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | • აყენებს სანიშნულე პროფილებს<br>• აწყობს დუღაბის მოსაჭიმი იატაკს<br>• მოსაპირკეთებელ ზედაპირზე ასრულებს ჰიდროიზოლაციას | • იცის სხვადასხვა სახის კედლის და იატაკის სიმტკიცის, სისწორის განსაზღვრა<br>• იცის კედლის ზედაპირის სხვადასხვა ტიპის დეფექტების აღწერა ბათქაშის ხარისხობრივი მდგომარეობის მიხედვით;<br>• იცის იატაკის ზედაპირის სხვადასხვა ტიპის დეფექტების აღწერა<br>• იცის სხვადასხვა სახის ზედაპირების დაზიანებების უსაფრთხოდ აღმოფხვრის ტექნოლოგია<br>• იცის კუთხეების მართობულობის შემოწმების წესები<br>• იცის კედლის, ფერდოების, შიგა და გარე კუთხეების ვერტიკალური და ჰორიზონტალური სისწორის შემოწმების წესი<br>• იცის დავალების სპეციფიკის გათვალისწინებით ფილებით კედლის მოპირკეთებისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოების ;თანამიმდევრობით ჩამოთვლა<br>• იცის ჰიდროსაიზოლაციო მასალების სახეები და დანიშნულება | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | • იცის ეკოლოგიური მოთხოვნები ნარჩენებისადმი;<br>• იცის ნაზავების სახეები და დანიშნულება<br>• იცის ფილის დასამაგრებელი სხვადასხვა ნაზავების შემადგენლობა<br>• იცის სხვადასხვა ნაზავის მომზადების ტექნოლოგიები<br>• იცის ნაზავების უსაფრთხოდ მომზადება-გამოყენების წესები. | | | | | | | | |
| კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით | • ასრულებს კედლის და იატაკის დაკვალვით სამუშაოებს<br>• ასრულებს კედლის ზედაპირის ფილებით მოპირკეთებას<br>• აკრავს შემაერთებელ რიგს<br>• აგებს ფილებს იატაკზე<br>• ავსებს ნაკერებს სხვადასხვა შემავსებლით | • იცის კედლის დაკვალვის პრინციპი<br>• იცის ფილებით კედლის მოპირკეთების სამუსაოების თანმიმდევრობა<br>• იცის განმბჯენების დანიშნულება<br>• იცის ფილის წყობის სახეობები<br>• იცის ფილის გაკვრის რიგითობა<br>• იცის ფილის გასწორების მნიშვნელობა<br>• იცის ქანობების/ფერდოების და დახრილი ზედაპირების მოპირკეთებისათვის საჭირო ინსტრუმენტები<br>• იცის ქანობების/ფერდოების და დახრილი ზედაპირების მოპირკეთებისათვის საჭირო მასალები<br>• იცის შემაერთებელი ადგილის ზომის აღების წესები | ✓ | | | ✓ | ✓ | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | • იცის რომელი ინსტრუმენტებით გააკონტროლოს შესრულებული სამუშაოების ხარისხი<br>• იცის ფერის შეხამების აუცილებლობა<br>• იცი ნაკერების შსავსებუ ნაზავის მომზადების წესი | | | | | | | | |
| ზედაპირის მოპირკეთება მოზაიკური ფილებით | • **ასრულებს კედლისა და იატაკის ზედაპირების მოპირკეთებას მოზაიკური ფილებით** | • იცის ზედაპირის მოზაიკური ფილებით მოპირკეთებისათვის საჭირო სამუშაოების ჩამოთვლა<br>• იცის ზედაპირის მოზაიკური ფილებით მოპირკეთებისათვის საჭირო ინსტრუმენტები<br>• იცის მოსაპირკეთებელი ზედაპირების გრუნტის ხსნარით უსაფრთხოდ დამუშავების წესები<br>• იცის ჰიდროსაიზოლაციო მასალების დანიშნულება<br>• იცის მოსაპირკეთებელი ზედაპირის ჰიდროიზოლაციით უსაფრთხოდ დაფარვის წესები.<br>• იცის მოზაიკური ფილის დაგებისთვის საჭირო ნაზავების მომზადების წესები | ✓ | | | ✓ | ✓ | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | • იცის მოზაიკური ფილის დაგების ტექნოლოგიები კედელსა და იატაკზე<br>• იცის ნაკერების შევსებისთვის საჭირო მასალები<br>• იცის ნაკერების შევსების წესები<br>• იცის მოპირკეთებული ზედაპირის გასუფთავების მეთოდები<br>• იცის შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმების წესები<br>• იცის ნარჩენების უტილიზების წესები<br>• იცის ზედაპირის მოზაიკური ფილებით მოპირკეთების სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულების წესები<br>• იცის ჰიგიენის ნორმები | | | | | | | | |
| ბეტონის სამრეწველო და პოლიმერული იატაკის მოწყობა | • აწყობს ბეტონის სამრეწველო იატაკს<br>• აწყობს პოლიმერულ იატაკს<br>• აწყობს ნაკერებს<br>• ასრულებს ქვიშა ცემენტის ხსნარით იატაკის მოჭიმვას | 1. იცის ლაზერის მოხმარების წესები<br>2. იცის ლარტყის სახეობები<br>3. იცის ლარტყის შერჩევის მეთოდები<br>4. იცის იატაკის ზედაპირის მოსახვეწი აპარატის უსაფრთხოდ გამოყენების წესები და მეთოდები;<br>5. იცის სწორი იატაკის მოწყობისთვის იატაკის დონეების განსაზღვრის წესები;<br>6. იცის ქარხანაში მომზადებული დუღაბის განსაზღვრულ | ✓ | | | ✓ | ✓ | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ნიშნულზე დასხმის პროცედურის თანმიმდევრობას;<br>7. იცის დასხმული დუღაბის ლარტყით გასწორების მეთოდები<br>8. იცის შემშრალი დუღაბის ლარტყით პირვანდელი მოხვეწის წესები<br>9. იცის ბეტონის იატაკის მოსახვეწი აპარატის გამოყენების წესები<br>10. იცის ბეტონის იატაკზე ნაკერების მოწყობის მეთოდები<br>11. იცის ელექტრო ხერხის გამოყენების წესები<br>12. იცის ქვიშის, წყლისა და ცემენტის საჭირო რაოდენობების განსაზღვრის წესები<br>13. იცის საფუძვლის შემოწმების კრიტერიუმები: სიმტკიცე, სისწორე, ნარჩენი ტენიანობა<br>14. იცის პოლიმერული იატაკის დატანის თანმიმდევრობა: ზუმფარიანი მანქანით მოხვეწა, ინდუსტრიული მტვერსასრუტით დაწმენდა, ბზარების ძალოვანი გადაბმა, ისევ ინდუსტრიული მტვერსასრუტით დაწმენდა, დაგრუნტვა, საბაზისო შრის დატანა, საფინიშო შრის დატანა | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | (ასეთის არსებობის შემთხვევაში.)<br>15. იცის შრეების დატანებს შორის დროის რეგლამენტი მწარმოებლის რეკომენდაციის მიხედვით | | | | | | | | |
| თბო და ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების შესრულება | • ასრულებს თბოსაიზოლაციო სამუშაოებს<br>• ასრულებს ჰიდროიზოლაციის სამუშაოებს | 9. იცის დაგეგმვისა და ორგანიზების საკითხები<br>10. იცის თბოსაიზოლაციო მასალები და მათი თვისებები<br>11. იცის თბოიზოლაციის სისტემის კომპონენტები<br>12. იცის თბოიზოლაციის პრინციპები<br>13. იცის სიცივის ხიდების განმარტება;<br>14. იცის დუბელირების (წკირვა) პრინციპი და დუბელის გამოყენების დანიშნულებას<br>15. იცის შენობისა და სახურავის მიერთების კვანძების დამუშავების მეთოდი<br>16. იცის ცოკოლის ზონაზე მოსალოდნელი დატვირთვები და მოწყობის პრინციპები<br>17. იცის ფერების ზეგავლენა თბოიზოლირებულ კედლებზე;<br>18. იცის ხანძრის გავრცელებისგან დაცვის მექანიზმები<br>19. იცის საჭირო მასალები და ხელსაწყო იარაღები<br>20. იცის თბო საიზოლაციო მასალები | ✓ | | | ✓ | ✓ | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 21. იცის სამუშაოების უსაფრთხოდ შესრულების მეთოდები<br>22. იცის თბოსაიზოლაციო ფილების მიწებების ხერხები<br>23. იცის თბოკამერის გამოყენების წესი<br>24. იცის სამუშაო იარაღების, ელექტრო ხელსაწყოების და მასალების უსაფრთხოდ გამოყენების წესები<br>25. იცის მოსალოდნელი რისკები სამუშაო ადგილზე<br>26. იცის ჰიდროიზოლაციის არსი და პრინციპები<br>27. იცის **ჰიდროიზოლაციის მასალის** სახეები<br>28. იცის ჰიდროიზოლაციისთვის რელევანტური ზედაპირები | | | | | | | | |
| მეტლახის და გრანიტის იატაკის დაგება | • ჭრის გრანიტისა და მეტლახის ფილებს<br>• უსვამს მომზადებული წებო-ცემენტის ნაზავს ბეტონის იატაკზე<br>• ამონტაჟებს ფილებს ბეტონის იატაკზე<br>• ამოავსებს ნაკერებს ფილებს შორის<br>• ასუფთავებს მოპირკეთებულ ზედაპირს | 1. იცის მეტლახის და გრანიტის მექანიკური საჭრელი დაზგის გამოყენების წესები<br>2. იცის მეტლახისა და გრანიტის დაგებისათვის საჭირო ინსტრუმენტების გამოყენების წესები<br>3. იცის გრანიტისა და მეტლახის ფილებს შორის ღიობის სიზუსტის დამცაი საშუალებები<br>4. იცის ელექტრო მდღვებავის გამოყენების მეთოდები<br>5. იცის წებო-ცემენტისა და წყლის დოზირების შერჩევის მეთოდები | ✓ | | | | ✓ | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6. იცის ბეტონის იატაკზე მომზადებული წებო-ცემენტის წასმის მეთოდები და საშუალებები<br>7. იცის მეტლახის და გრანიტის პირველი ფილის ადგილმდებარეობის განსაზღვრის წესები<br>8. იცის მეტლახისა და გრანიტის ერთი ფილის დაგების წესი<br>9. იცის იატაკის კიდეების დეკორაციული არშიის სპეციალური საჭრელის საშუალებით დაჭრის და დამაგრების მეთოდები<br>10. იცის დეკორატიული ცემენტით ღიობების ამოვსების მეთოდები<br>11. იცის ზედაპირიდან დეკორატიული ცემენტის ზედმეტი რაოდენობის მოცილების წესები | | | | | | | | |
| ელასტიური და რბილი იატაკის საფარის დაგება | • ამოწმებს მჭიმის პარამეტრებს (სისწორე, სიმტკიცე, ნარჩენი ტენიანობა)<br>• ასრულებს ქვიშა-ცემენტის მოჭიმული იატაკის მოხვეწას შესაბამისი მანქანით.<br>• ასხამს თვითსწორებად ფითხს<br>• აგებს ელასტიურ საფარს თვითსწორებად ფითხზე | 1. იცის არსებული საფუძვლის შეფასების წესი სიმტკიცეზე, სისწორეზე და ნარჩენ ტენიანობაზე.<br>2. იცის სიმტკიცის, სისწორის და ნარჩენი ტენიანობის გასაუჯობესებლად საჭირო მასალები<br>3. იცის ბზარების კლასიფიცირება და მაით ძალოვანი გადაბმის აღწერა<br>4. იცის იატაკის საფარის საბოლოო დონის | ✓ | | | ✓ | ✓ | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | • აგებს რბილ საფარს თვითსწორებად ფითხზე | ნიშნულთან მიმართებაში და შესაბამისი რაოდენობის/სიმაღლის თვითსწორებადი ფითხის განსაზღვრის წესი<br>5. იცის მჭიმზე გრუნტის დატანის წესები<br>6. იცის თვითსწორებადი ფითხის სპეციალური ხელსაწყოებით დასხმის და თანაბრად განაწილების წესები<br>7. იცის თვითსწორებადი ფითხის დასხმმის შემდგომ ნემსებიანი გორგოლაჭის გამოყენების წესები<br>8. იცის ელექტრო მდღვებავის უსაფრთხოდ გამოყენების მეთოდები<br>9. იცის ობიექტის განიავება-ჩაბნელების მნიშვნელობა სამუშაოების მსვლელობისას და მათ შემდგეგ.<br>10. იცის ელასტიური იატაკის საჭრელი ხელსაწყოს შერჩევის მეთოდები და გამოყენების წესები<br>11. იცის ელასტიური იატაკისთვის საჭირო სპეციალური წებოს სახეობები<br>12. იცის ელასტიური იატაკის დასაგები წებოს | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სპეციალური შპატელის გამოყენების მეთოდები<br>13. იცის ელასტიური იატაკის ობიექტზე დასაწყობების ვადები და მათ მნიშვნელობა<br>14. იცის ელასტიური იატაკის დაჭრის მეთოდები<br>15. იცის დაჭრილი ელასტიური იატაკის დაგების თავისებურებები<br>16. იცის თერმონაკერების შედუღების და უთოს გამოყენების წესები<br>17. იცის გადაბმის ადგილებში ელასტიური იატაკის დაბოლოებების გაცხელების წესები<br>18. იცის გადაბმის წესები და თავისებურებები<br>19. იცის დაჭრილი რბილი იატაკის დაგების თავისებურებები<br>20. იცის რბილი იატაკის დაბოლოებების ერთმანეთთან სიზუსტით დაწებების წესები<br>21. იცის გადაბმის ადგილებში ხაზოვანი სამაგრების დამაგრების თავისებურებები<br>22. იცის უსაფრთხოების, უტილიზაციის წესებს და ჰიგიენის ნორმებს. | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სხვადასხვა სახის იატაკის დაგება (ხის ფიცრის, ხის პარკეტის, ლამინირებული პარკეტის ) | • აწყობს ხის ფიცრის იატაკს<br>• ამონტაჟებს ხის პარკეტის ფილებს კონსტრუქციაზე<br>• ამონტაჟებს ლამინირებული პარკეტის ფილებს კონსტრუქციაზე<br>• | 1. იცის ხის ჯიშები<br>2. იცის სამუშაო ობიექტზე ჰაერის, იატაკის ტემპარატურის და ჰაერის ფარდობითი ტენიანობის მაჩვენებლების შესახებ;<br>3. იცის ფიცრის სისქეს და ძელებს შორის მანძილზე დამოკიდებულება<br>4. იცის ხის კონსტრუქციის ელემენტების შეერთებების სახეეი და ტექნოლოგია<br>5. იცის საჭირო ინსტრუმენტები და მათი უსაფრთხოდ მოხმარების წესები<br>6. იცის პარკეტის დაგებისა და ბეტონის იატაკის დასამუშავებელი სპეციალური წებოს სახეობები, მატი მომზადების წესები<br>7. იცის მიღებული ნარევით რბილი გორგოლაჭის გამოყენებით ბეტონის დაფარვის წესები და მეთოდები<br>8. იცის პრესირებული ფანერის სისქის მიხედვით შერჩევის და დამაგრების წესები<br>9. იცის ხის პარკეტის ერთი ფილის დამაგრების და ერთ ფილაზე მომდევნო ფილის სპეციალურ ღიობებში ჩასმის მეთოდები | ✓ | | | ✓ | ✓ | | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 10. იცის ხის პარკეტის კედლიდან დაშორების და წარმოქმნილი ღიობების შესავსებად პარკეტის დაჭრის წესები<br>11. იცის დაგებული ხის პარკეტის ზედაპირის დამუშავების, დეკორაციული დამცავი ლაქით დაფარვის წესები<br>12. იცის იატაკის კიდეების დეკორაციული არშიის დამაგრების ზუსტი ზომების განსაზღვრის მეთოდებს;<br>13. იცის იატაკის კიდეების დეკორაციული არშიის დამაგრებისთვის საჭირო სილიკონის იარაღის გამოყენების წესებს.<br>14. იცის ლამინირებული პარკეტის ერთი ფილის დაგების წესებს და მომდევნო ფილის სპეციალურ ღიობებში ჩასმის მეთოდები<br>15. იცის ლამინირებული პარკეტის კედელთან დაშორების შერჩევის თავისებურებები და კედლებთან წარმოქმნილი ღიობების შესავსებად ლამინირებული პარკეტის დაჭრის წესები<br>16. იცის დაჭრილი პარკეტის შესაბამის ადგილებში ჩასმის მეთოდები. | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 17. იცის იატაკის კიდეების დეკორაციული არშიის დასაფიქსირებელი სპეციალური ლურსმნების სახეობები | | | | | | | | |
| შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა | • აღწერს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებს<br>• აღწერს ელექტრო უსაფრთხოების წესებს<br>• აღწერს საწარმოო სანიტარიიისა და შრომის ჰიგიენის მოთხოვნებს | 1. იცის საქართველოში მოქმედი შრომისა და უსაფრთხოების უსაფრთხოების რეგულაციები<br>2. იცის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (იდს) მნიშვნელობა, უსაფრთხოების ნიშნები, სამუშაო ადგილზე შესაძლო რისკები და მათი თავიდან აცილების ღონისძიებები<br>3. იცის შრომის უსაფრთხოების წესები მანქანა-დანადგარებთან, მექანიზმებთან, ხელსაწყოებით მუშაობისას<br>4. იცის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები<br>5. იცის უსაფრთხოების წესები ხარაჩოებზე მუშაობისას.<br>6. იცის ადამიანზე ელექტროდენის ზემოქმედების შედეგებს;<br>7. იცის ელექტრო ხელსაწყოებისა და ელექტროდანადგარების უსაფრთხოდ გამოყენების წესებს; | ✓ | | | ✓ | ✓ | | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8. იცის ელექტროდენის ზემოქმედებისგან დამცავი საშუალებები<br>9. იცის ელექტროდარტყმით გამოწვეული შესაძლო შედეგები, პრევენციული ღონისძიებები.<br>10. იცის სანიტარულ- ჰიგიენური ნორმები, ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედი მავნე ფაქტორები მშენებლობაში<br>11. იცის სამუშაო გარემოში ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური და ფსიქოსოციალური საფრთხეების სახეები და მათგან გამომდინარე შესაძლო უარყოფითი შედეგები<br>12. იცის საწარმოო ტრავმატიზმის და პროფესიული დაავადებების ს შესახებ<br>13. იცის მავნე ნივთიერებებისგან დაცვის საშუალებები, სამშენებლო მტვრის თავიდან აცილების ღონისძიებები<br>14. იცის სამუშოთა წარმოებისას სასუნთქი ორგანოების, ხმაურისგან, ვიბრაციისგან დაცვის საშუალებებო<br>15. იცის განათების გავლენა შრომის მწარმოებლობასა და ჯანმრთელობაზე | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 16. იცის ვენტილაციის მნიშვნელობა სამუშაო გარემოში<br>17. იცის პირადი ჰიგიენის ნორმები | | | | | | | | |

11. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა**

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ითვალისწინებს 12 პროფესიულ მოდულს ჯამური 74 კრედიტის მოცულობით, 3 ზოგად მოდულს ჯამური 7 კრედიტის მოცულობით..

იატაკისა და ფილის სამუშაოებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 81 კრედიტის დაგროვება .
არაქართველი სტუდენტებისთვის საჭიროა ჯამურად 96 კრედიტის დაგროვება.

| სასწავლო გარემოში სწავლისთვის | კრედიტი | სამუშაო გარემოში სწავლისთვის | დისტანციური სწავლების შესაძლებლობები |
|---|---|---|---|
| **ზოგადი მოდულები** | | | |
| ინფორმაციული წიგნიერება | **2** | | დისტანციური |
| უცხოური ენა | **3** | | დისტანციური |
| რაოდენობრივი წიგნიერება | **2** | | დისტანციური |
| **პროფესიული მოდულები** | | | |
| სამშენებლო ნახაზების კითხვა | **3** | ✓ | – |
| მშენებლობის საფუძვლები | **4** | ✓ | დისტანციური |
| ფილის დამუშავება | **4** | ✓ | – |
| კედლის და იატაკის ზედაპირების მომზადება ფილებით მოპირკეთებისათვის | **6** | ✓ | – |
| კედლის და იატაკის მოპირკეთება ფილებით | **8** | ✓ | – |
| ზედაპირის მოპირკეთება მოზაიკური ფილებით | **6** | ✓ | – |
| ბეტონის სამრეწველო და პოლიმერული იატაკის მოწყობა | **8** | ✓ | – |

| | | | |
|---|---|---|---|
| თბო და ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების შესრულება | **8** | ✓ | – |
| მეტლახის და გრანიტის იატაკის დაგება | **8** | ✓ | – |
| ელასტიური და რბილი იატაკის საფარის დაგება | **6** | ✓ | – |
| სხვადასხვა სახის იატაკის დაგება (ხის ფიცრის, ხის პარკეტის, ლამინირებული პარკეტის ) | **8** | ✓ | – |
| შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა | **5** | ✓ | დისტანციური |
| სულ კრედიტები: | 81 | | |
| ქართული ენა A1 | 15 | | |

12. **დამატებითი ინფორმაცია**

12.1სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.
საგანმანათლებლო სტანდარტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

**მართლმეტყველება**

• საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
• სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
• მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
• ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
• ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

**მართლწერა**

• საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
• ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
• პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
• წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
• არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
• ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

12.2. კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები, და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

12.3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.